აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№86 (25.110) 18 აგვისტო, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 30-35 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, ღამით, ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

ბათუმი სექტემბრის ბოლოს მსოფლიო ტურიზმის სფეროში დაჯილდოების გალა ცერემონიისთვის ემზადება

თორნიკე რიჟვაძემ საზღვაო ტურისტული სეზონის მზარდი დინამიკა და მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების ბათუმში გამართვის საორგანიზაციო საკითხები სამუშაო ჯგუფთან შეხვედრაზე განიხილა

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა საზღვაო ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოადგინა, რომლის თანახმად, შიდა და უცხოელი ვიზიტიორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2023 წლის 2 კვარტალის მონაცემით 56,6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 24%-ით.

2023 წლის ივლისში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში განხორციელდა 414 საერთაშორისო ფრენა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 17,3%-ით. 2023 წლის 7 თვის მონაცემით, განხორციელდა 1 436 საერთაშორისო ფრენა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 9,7%-ითაა გაზრდილი.

Airbnb-ის მონაცემებზე დაყრდნობით, კერძო ბინების დატვირთულობა 2023 წლის 7 თვის მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 38%-ით, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 58%-ით.

ბათუმი სექტემბრის ბოლოს მსოფლიო ტურიზმის სფეროში დაჯილდოების გალა ცერემონიისთვის ემზადება. ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, საორგანიზაციო საკითხები განიხილა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელ პირებთან ერთად.

მსოფლიოში ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილ World Travel Awards-ის ღონისძიების ფარგლებში, ბათუმს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურიზმის ინდუსტრიის წამყვანი კომპანიები, სასტუმროები, ტურსააგენტოები, ბიზნეს და სახელმწიფო ორგანიზაციების, ასევე საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები ეწვევიან, სადაც ევროპის წამყვანი ტურისტული მიმართულებები, ქალაქები და კომპანიები გამოვლინდება.

აჭარის მთავრობაში გამართულ შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, ბათუმის მერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს, აჭარის მთავრობის, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ახალი საინვესტიციო პროექტი – აჭარაში

„პეტრა სი რეზორტი“ - ასე დაერქმევა 42 შენობისგან შემდგარ მრავალფუნქციურ კომპლექსს, რომლის მშენებლობაც ციხისძირში დაიწყო და სამუშაოების პირველი ეტაპი 2025 წლის ბოლოსთვის დასრულდება. აღსანიშნავია, რომ მთლიანი კომპლექსი ენერგოეფექტურობის პრინციპზეა აგებული, რომლის დიდ ნაწილს რეკრეაციული ზონები დაიკავებს

„საქართველოს, კერძოდ, აჭარის რეგიონს კიდევ ერთი, საერთაშორისო დონისა და მასშტაბის მრავალფუნქციური კომპლექსი შეემატება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნასა და ტურისტების მოზიდვას. გარდა იმისა, რომ აღნიშნული კომპლექსი რეგიონში ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტი იქნება, ის შექმნის ასობით ახალ სამუშაო ადგილს, რაც ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. დარწმუნებული ვარ, „პეტრა სი რეზორტი“ ერთნაირად საყვარელი ადგილი გახდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისა და ვიზიტიორებისთვის“, - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძემ, რომელიც „პეტრა სი რეზორტის“ მშენებლობის დაწყების ღონისძიებას დაესწრო. სამინისტროს ინფორმაციით „პეტრა სი რეზორტის“ პროექტში 200 მილიონ დოლარზე

მეტი ინვესტიცია განხორციელდება. აშენდება ხუთვარსკვლავიანი ბრენდული სასტუმრო, ასევე 53-სართულიანი აპარტოტელი, ტერიტორიაზე ასევე განთავსდება 23-30-სართულიანი ხუთი აპარტოტელის ტიპის შენობა.

ცნობისთვის: შპს „პეტრა სი რეზორტი“ 2022 წლის 21 ივლისს დააფუძნეს. კომპანიის 35%-ს საქართველოს ზეთისხილის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი სვანიძე ფლობს, 35%-ს - მარინა სირაძე, 15%-ს - ბიზნესმენი დავით თოფურიძე, ხოლო დარჩენილ 15%-ს - არაბთა გაერთიანებული საამიროების მოქალაქე ალხუნაიზი ტაისიერ ბაქირი.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

შოვის ტრაგედია – მორიგი დაპირისპირებების მიზეზი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

შოვის ტრაგედია, როგორც არაერთი სხვა საკითხი ჩვენს ქვეყანაში, განსჯისა და დაპირისპირების თემად იქცა. ცხადია, ყველა თანხმდება, რომ უდიდესი ტრაგედია მოხდა, მაგრამ შეკითხვებზე - ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო მეტი ადამიანის გადასარჩენად, რა პრევენციული ზომები უნდა მიეღოთ შესაბამის სამსახურებს და მიიღოს ამის შემდეგ მაინც, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი ტრაგიკული მოვლენები, რადიკალურად განსხვავებულად პასუხობენ ჩვენი პოლარიზებული საზოგადოებისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლები. აზრთა სხვადასხვაობისა და საზოგადოების დიდი ნაწილის გულისწყრომის მიზეზიც გახდა მმართველი გუნდის რამდენიმე წევრის განცხადებები, რითაც საეჭვოდ მიიჩნევდნენ სტიქიას გადარჩენილი ადამიანების ნაამბობს, ასევე, იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს დროული რეაგირების შემთხვევაში, კონკრეტულად ვერტმფრენის დროულად ჩართვით, შესაძლებელი იყო, სტიქიას მეტი ადამიანი გადარჩენოდა. განსაკუთრებული ვნებათაღელვა მოჰყვა 14 აგვისტოს პრესკონფერენციაზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომ არასწორი ინფორმაცია ვრცელდებოდა:

„ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა რატომ იყო საჭირო, როცა ის ნაპირი, სადაც იყვნენ, უფრო უსაფრთხო იყო, არ ვიცი. ჩვენ იმავე ტერიტორიაზე მეორე დღეს ვიყავით და იქ გადასვლა, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი იყო. ამიტომ, ეს ყველაფერი გადასამოწმებელია. იმაზე საუბარი, რომ ვიღაც სამი საათი ებრძოდა სტიქიას, უბრალოდ, ცარიელი ტყუილია“, - თქვა მან.

ამ განცხადებას გამოეხმაურა ადრესატი. დავით ჯელაძის თქმით, კობახიძის ნათქვამი მისი მისამართით დიდი შეურაცხყოფაა.

- თავს ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობ. ყოველ დღე იმის იმედით ვიღვიძებდი, რომ თუ არ დამირეკავდა, ვიღაც გამამხნევებელ შეტყობინებას მაინც მომწერდა, ეს როგორ შეძელიო. კობახიძის განცხადებამ შოკში ჩამაგდო, საერთოდ გამანადგურა. თურმე ყველაფერი, რაც მოვყევი და თავს გადამხდა, ტყუილი იყო და ყველას ყველაფერი მოვატყუე. ძალიან განერვიულებული და აღელვებული ვარ, ასეთი შეურაცხყოფილი არასდროს ვყოფილვარ, - წერს ჯელაძე.

ჯელაძის განცხადებას მოჰყვა ირაკლი კობახიძის სინანულიც, მან მალევე გააჟღერა, რომ ნანობს თავის ნათქვამს.

- პირველ რიგში, სინანული მინდა გამოვხატო იმასთან დაკავშირებით, რომ გული ვატკინე დავით ჯელაძეს. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან დასანანი. ჩვენ გვქონდა შეხვედრა, საუბარი. მანაც განმარტა მისი ისტორია, მეც განვმარტე ყველაფერი. მთავარია, რომ ძალიან მძიმე ვითარებიდან გამოვიდა. გადარჩა ისიც და მისი დისშვილიც, მისი ოჯახი და ამაში არის დავითის დიდი დამსახურება, - აღნიშნა კობახიძემ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის განცხადებას მხარი აუბეს და საკუთარი განცხადებების ფორმულირება შეცვალეს მმართველ პარტიაში. პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ, რომელიც მანამდე აცხადებდა, რომ „თუ გადარჩა ადამიანი განაპირა მხარეს, ტალახის მასაზე რატომ უნდა გადასულიყო, არ ვიცი“, კობახიძეს საქციელი მოუწონა და დასძინა, რომ უერთდება მის ნათქვამს და პატიება ითხოვა ყველა იმ ადამიანისგან, ვინც მათი განცხადებების გამო თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

- რა თქმა უნდა, არავის გვქონია, არც სტიქიის პირველ დღეს, არც მეორე დღეს და არც არასდროს, სურვილი, რომ ვინმეს ღვაწლი, ვინმეს ეროვნული საქციელი, ვინმეს გმირობა რაღაცნაირად დაგვეკნინებინა. ეს თქვა ირაკლი კობახიძემ და ყოველგვარი სპეკულაციის მიზეზი მოსპო. ეს არის ძალიან დასაფასებელი და რასაკვირველია, ვუერთდები. მეც მინდა დავადასტურო ჩემი ღრმა პატივისცემა ნებისმიერი ადამიანის მისამართით, რომელიც არათუ გადარჩა, არამედ, პირდაპირ ვამბობ, რომ გმირობა გამოიჩინა. არც მე და არც ირაკლის არ გვქონია განზრახვა, რომ ვინმე შეურაცხყოფილი დარჩენილიყო. პატიებას ვითხოვთ, თუკი ასე გამოვიდა და ვინმეს ობიექტურად ასეთი შთაბეჭდილება გაუჩნდა, რომ მისი ღვაწლი დავაკნინეთ, - თქვა სარჯველაძემ.

სამთავრობო გუნდის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ კომენტარებს განცხადებით გამოეხმაურა პარტია „საქართველოსთვის“, სადაც საუბარია იმაზე, რომ მთავრობამ შოვის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულების წინააღმდეგ საინფორმაციო ომი და დისკრედიტაციის კამპანია წამოიწყო, რომლის მიზანიც პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაა.

„დღევანდელი ხელისუფლებისთვის ადამიანი აღარ არის მთავარი ღირებულება, მისთვის მთავარი ღირებულება გახდა ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერ ფასად.

ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიზანია, შოვის ტრაგედიაზე დადგინდეს სიმართლე, ობიექტურად შეფასდეს სახელმწიფოს რეაგირება, გამოვლინდნენ პასუხისმგებელი პირები და მომავალში თავიდან ავირიდოთ მსგავსი ტრაგედიები. ამ მიზნით, ჯერ კიდევ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის გაჟღერებამდე, საპარლამენტო ბერკეტების გამოყენებით დავიწყეთ წინასაგამოძიებო პროცესი და ათეულობით კითხვით მივმართეთ პრემიერ-მინისტრს და შინაგან საქმეთა მინისტრს.

რაც შეეხება საგამოძიებო კომისიას, იმისათვის, რომ კომისიის გზით დადგინდეს სიმართლე, ეს თანაბრად ყველას ინტერესში უნდა შედიოდეს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ. დღეს, კომისიის შექმნას „ნაციონალური მოძრაობა“ ადამიანური ტრაგედიიდან მორიგი პოლიტიკური სარგებლის მისაღებად იყენებს, ხოლო „ოცნება“ „ნაციონალური

იხ. მე-5 გვ.

ქრონიკა

19 და 20 აგვისტოს ბათუმი ევროპის მოედანზე თაფლის ფესტივალს უმასპინძლებს, რომელშიც, ორგანიზატორების განცხადებით, მონაწილეობას მიიღებს ქართული თაფლის და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების მწარმოებელი 50-მდე კომპანია, ასოციაციები, მეფუტკრეები აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და კახეთის რეგიონებიდან, მეფუტკრეობის აღჭურვილობისა და დანადგარების მიმწოდებლები (სკების მწარმოებლები, ვეტაფთიაქები, ფიჭის მწარმოებლები); ბათუმის ბაღი და თაფლოვანი მცენარეების სანერგეები, კერძო სექტორის წარმომადგენლები. ფესტივალის სტუმრებს შეეძლებათ სხვადასხვა სახეობის თაფლის და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების დაგემოვნება და შეძენა. წარმოდგენილი იქნება ხელნაკეთი სანთლები და კოსმეტიკური საშუალებები. ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ინტერაქტიური გასართობი ღონისძიებები, კონკურსები, მასტერკლასები. მეფუტკრეებს შეეძლებათ, ნახონ და მეტი გაიგონ კლიმატზე ადაპტირებული სკების და ბიო ფიჭის შესახებ.

* * *

შოვში დატრიალებული ტრაგედია მთელი ქვეყნის სატკივარია. დიდი ჯაფა დაადგათ სამაშველო სამსახურებს. ვალში არც აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებული სახანძრო-სამაშველო სამსახურების წარმომადგენლები რჩებიან. ხულოდან წარგზავნილებს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი ლევან დეკანაძე ხელმძღვანელობს, შუახევიდან წარგზავნილებს: ოლეგ დიასამიძეს, ჯამლეტ ზოიძეს, კახა შავაძეს, ჯაბა ნაკაიძესა და ირაკლი თავდგირიძეს - ლევან ზოიძე. ამ ექვსეულმა უკვე სტიქიის ზონაში 10 დღეზე მეტი დაჰყო. 5-დღიანი მუშაობის შემდეგ, ერთი დღით შუახევში ჩამოვიდნენ და შემდეგ ისევ სტიქიის ზონაში დაბრუნდნენ.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროგრამის ფარგლებში ახალი, მრავალბინიანი სახლების მშენებლობას და მიმდინარე მასშტაბურ საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო. მიმდინარე პროექტებს საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები და ბათუმის საკრებულოს ხელმძღვანელი პირებიც გაეცნენ. ამავე პროგრამის ფარგლებში სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩაზე ახალი, 182 ბინაზე გათვლილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაათვალიერეს. ვარშანიძისა და ხახულის ქუჩების რეაბილიტაციაც აქტიურ ფაზაშია.

* * *

მმართველმა პარტიამ შუალედური არჩევნებისთვის გორისა და კასპის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში და მერის არჩევნებისთვის გურჯაანში კანდიდატები დაასახელა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გორისა და კასპის მაჟორიტარობის კანდიდატად საზოგადოებას გიორგი სოსიაშვილი წარუდგინა, გურჯაანის მერის პოზიციაზე კი გიორგი მაჭავარიანი. 2023 წლის თებერვალში გიორგი ხოჯევანიშვილმა, რომელიც პარტია „საქართველოს“ წევრი იყო, პარლამენტი საკუთარი სურვილით დატოვა. მიმდინარე წლის ივნისში თანამდებობა ასევე საკუთარი სურვილით დატოვა გურჯაანის მერმა ზურაბ უტიაშვილმაც. შუალედური არჩევნები სწორედ ამ მიზეზით ჩატარდა.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე პროგრამის - „სწავლა საზღვარგარეთ“ კონკურსის გამარჯვებულებს შეხვდა, წარმატება მიულოცა და ხარისხიანი განათლების მნიშვნელობაზე ესაუბრა. აჭარის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, პროგრამას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2014 წლიდან ახორციელებს. „სწავლა საზღვარგარეთ“ პროგრამის მიზანია ნიჭიერი კადრების აკადემიური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. გამარჯვებული სტუდენტები სწავლას გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, გაერთიანებული სამეფოს, ლიეტუვას, ფინეთის, ესპანეთის, ესტონეთის და ჩეხეთის ისეთ წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გააგრძელებენ, როგორებიცაა - კემბრიჯის, ლონდონის გოლდსმიტის, გლაზგოს კალედონიის, დრეზდენის გამოყენებით მეცნიერებათა და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტები.

* * *

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან იშიძუკა ჰიდეკისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. მერი ელჩს ბათუმში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ესაუბრა. განიხილეს სხვადასხვა მიმართულებით ურთიერთობების გაღრმავებასა და ერთობლივ პროექტებთან დაკავშირებული საკითხები. არჩილ ჩიქოვანმა ახლად დანიშნულ ელჩს სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამის კონსულტანტი მეკო ჩაჩავა. შეხვედრის ბოლოს მხარეებმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე იაპონიის ელჩს საქართველოში იშიძუკა ჰიდეკის შეხვდა, ახლად დანიშნულ ელჩს საქართველოში დიპლომატიური მისიის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება ორი ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობაზე გამახვილდა. მხარეებმა პოზიციები ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერების შესახებ დაადასტურეს და თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე მოსაზრებები გაცვალეს. შეხვედრაზე ასევე, აღინიშნა საქართველოში არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემო და ხაზი გაესვა, რომ ქვეყანაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

* * *

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც 41 ეკომიგრანტი ოჯახის საკითხი განიხილეს. სხდომას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე უძღვებოდა. სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ 2023 წლის პროგრამის ფარგლებში, უსაფრთხო საცხოვრისი უკვე 40-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა. მიმდინარე წელს სამინისტრომ თანადაფინანსების წილი 40 000 ლარამდე გაზარდა და წლის ბოლომდე პროგრამით 100 ოჯახი ისარგებლებს. პროგრამის სრული ბიუჯეტი 4 080 000 ლარს შეადგენს.

* * *

დიანა ტლაშაძემ 10 წლის ოცნება აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის - „უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ მეშვეობით აიხდინა. სამინისტრომ, აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, პროგრამა გასულ წელს დანერგა და წარმატებით ახორციელებს. 2023 წელს პროგრამის ფარგლებში დაიბადა 7 ახალშობილი. 14 ოჯახი ახალშობილის მოლოდინშია. პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა და 700 000 ლარს შეადგენს. ასევე, გაიზარდა დასაფინანსებლად ბენეფიციართა სარეიტინგო ქულა - 300 000-მდე. პროგრამის მიზანია, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გზით, უშვილო წყვილებისათვის სამედიცინო სერვისების დაფინანსება, აღნიშნულ სერვისზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და დემოგრაფიული მაჩვენებლის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

* * *

ყოველ ზაფხულს, 11 აგვისტოს, ბათუმის მერიისა და კომპანია „მეტრო ჰოლდინგის“ მხარდაჭერით სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე პირებისთვის საინტერესო ღონისძიება იმართება. წელს, შოვში განვითარებული მოვლების გამო, იგი დაგვიანებით, 16 აგვისტოს გაიმართა და 1000-მდე შშმ და სსსმ პირს უმასპინძლა. ორგანიზატორებმა სტუმრებს სამი გემით, შუა ზღვაში, საინტერესო კრუიზი შესთავაზეს ცოცხალი მუსიკის თანხლებით. იყო ალაფურშეტი, კარგი განწყობა, ბევრი სითბო და მოფერება.

* * *

საუკუნეზე მეტია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ხეობა მაჭახელი ორადაა გაყოფილი. საქართველო-თურქეთს შორის მეზობლური და მეგობრული ურთიერთობების აღდგენის შემდეგ, ახლო ნათესავებს სარფის კარის გავლით, ერთმანეთის ნახვისა და მიმოსვლის შესაძლებლობა მიეცათ. წლების განმავლობაში ორად გაყოფილი ხეობის მოსახლეობა საავტომობილო გზის მშენებლობასა და უმოკლესი გზით ერთმანეთთან დაკავშირებას ითხოვდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განკარგულებით, ქვეყნის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დაევალა საქართველოს მხრიდან 700 მეტრზე საავტომობილო გზის გაყვანა, რომლის სამუშაოები უკვე დაიწყო. ანალოგიურ სამუშაოებს მეზობელ ქვეყანაშიც იწყებენ.

* * *

ახლგაზრდებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მეცნიერებით, კვლევით, შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლის მიზანსაც რეგიონის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა წარმოადგენს. უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ დოქტორანტებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. მათივე ინფორმაციით გრანტი გაიცემა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ეს იქნება კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, თუ სემინარი. კონკურსისთვის საჭირო განცხადების წარსადგენად სამინისტრომ ვადა 2023 წლის 10 აგვისტოდან - 20 სექტემბრის ჩათვლით განსაზღვრა.

პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე მთიელ ქალებს დახმარებას ჰპირდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

რაჭაში ტრაგედიის დატრიალებამდე აჭარის მთიანეთში საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი იმყოფებოდა. მაშინ „აჭარის“ მკითხველებს მასთან ინტერვიუს შევპირდით, რომელსაც ახლა გთავაზობთ.

- ქალბატონო ნინო, საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრები გამართეთ აჭარის მთიანეთში აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში დასაქმებულებთან, საზოგადოების რჩეულებთან...

- ნამდვილად საინტერესო შეხვედრები გვქონდა აჭარაში. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლობით, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მხარდაჭერით, მიმდინარეობს მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი“, ამ პროცესში ჩართული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სასწავლო კურსის მიზანია მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლება, სახელმწიფო პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერება. წელს ფორმატში შეხვედრები უკვე ჩატარდა მარტვილში, თეთრიწყაროში, ზესტაფონში, ფოთში, მესტიაში, საჩხერეში, ახალციხეში, ბორჯომში...

- რა თანადგომას გაუწევთ მთიან აჭარაში მომუშავე ქალებს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებისთვის?

- სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები არის სწორედ ის საშუალება, რომლითაც სახელმწიფო ეხმარება სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირებს, მათ შორის, ტრადიციული დარგების განვითარებაში. ასეთი შეხვედრებით ვცდილობთ, რომ უფრო ფართოდ გავავრცელოთ ამ პროგრამებზე ინფორმაცია და უფრო ადვილად ხელმისაწვდომი გავხადოთ იგი. აღსანიშნავია, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ მხრივ გამორჩეულია და აქტიურად მუშაობს რეგიონში სექტორის განვითარებისთვის.

- სამთო კურორტები ბახმარო, გომის მთა, გოდერძი, ბეშუმი ახალ დატვირთვას იძენს. მათ როლს ქვეყნის მომავალ წინსვლაში როგორ აფასებთ?

- ზოგადად, ტურიზმი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, აჭარას კი მთელი ქვეყნის ტურისტულ პოტენციალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აჭარის სამთო კურორტები ნამდვილად გამორჩეულია და საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების კვალდაკვალ, მჯერა, უდიდეს როლს ითამაშებს რეგიონში შიდა თუ გარე ტურიზმის წახალისებაში. აქვე ხაზი მინდა გავუსვა, რომ განსაკუთრებულად მთიან აჭარას, მისი უნიკალური ბუნების, კულინარიის, ტრადიციების თუ ადგილობრივი მცხოვრებლების გამო, აქვს დიდი პოტენციალი აგროტურიზმის განვითარების მიმართულებითაც.

- გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების მუშაობა კარგად წარმოჩნდა. რას ჰპირდებით აქაურ დედებს?

- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გაანალიზდა მარტოხელა მშობლის სტატუსის შეცვლის საკითხი, ასევე, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს მარტოხელა მშობლის სამართლებრივ სტატუსს და ამ სტატუსის მქონე პირთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების ვარიანტებს. ინიციატივა მიზნად ისახავს მარტოხელა მშობლების სამართლებრივი მდგომარეობის ძირეულ შესწავლასა და შესაბამისად, სტატუსის გაფართოებას, რათა ზრუნვის გარეშე არ დარჩეს არცერთი ქალი და ბავშვი, ვისაც ჩვენი თანადგომა ესაჭიროება. მიმდინარეობს საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი და საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობის მიზნით დამატებით ახალი სერვისების შეთავაზება მარტოხელა მშობლებისათვის. ვიმედოვნებთ, აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს წლის ბოლომდე დავაინიცირებთ. გარდა ამისა, ჩვენი აქტიური მხარდაჭერითა და ლობირებით, 49-მა მუნიციპალიტეტმა, მათ შორის შუახევმა, უკვე დამოყოლებული, ქალებმა რა დიდი ტვირთი აიღეს საკუთარ თავზე. ფაქტობრივად, ყველაზე ავბედითი და გაჭირვებით აღსავსე პერიოდი სწორედ მათი შრომის ხარჯზე გადავიარეთ. იმედი მაქვს, ამ ღვაწლს და შრომას თითოეული მათგანის შვილი და ოჯახის წევრი ძალიან კარგად აცნობიერებს და აფასებს.

ნერგა მარტოხელა მშობლებისათვის სხვადასხვა სერვისი, რაც ჩვენი და ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების აქტიური თანამშრომლობის შედეგია.

- დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის გზაზე ქალის, დედის როლს როგორ აფასებთ?

- ზოგადად, ქალებს, საქართველოს ისტორიაში მუდამ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ. ამ ინტერვიუში არ მოვყვები მეფეებიდან დაწყებული გმირი ქალებით დამთავრებული მათ აქტიურ საქმიანობას, რამდენიმეს გავიხსენებ - ასეთები იყვნენ საქართველოს ეროვნული გმირი მარო მაყაშვილი, პოლიტიკურად აქტიური და მებრძოლი პირველი ქართველი პარლამენტარი ქალები - მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ანა სოლოღაშვილი, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე და სხვანი. ვფიქრობ, ერთი შეხედვითაც ნათლად ჩანს თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში, წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან დიდი ზიანი მიაყენა არა მხოლოდ ჩვენს ფერმერებს, არამედ, ზოგადად, მოსახლეობას. არაერთი სტიქიური და მეწყრული პროცესი ვიცით, რომელსაც არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწები, არამედ ადამიანებიც ემსხვერპლნენ. დასავლეთში და აღმოსავლეთში ფერმერების პრობლემები საკმაოდ განსხვავებულია. აღმოსავლეთ საქართველოში ტენის ნაკლებობაა, დასავლეთ საქართველოში კი ჭარბი ნალექები. რა თქმა უნდა, პრევენციისთვის აუცილებელია ფერმერებმა აქტიურად გამოიყენონ სადაზღვევო პაკეტები თავიანთი აგროსასურსათო პროდუქტების დასაზღვევად. ისინი უნდა გაეცნონ იმ შესაძლებლობებს, რასაც სთავაზობს სახელმწიფო დაზღვევა. ძალიან დიდ როლს თამაშობენ სოფლის მეურნეობაში ქალები, თუმცა ისინი ოფიციალურად, სტატისტიკაში არ ჩანან, რადგან მეტწილად სასოფლო-სამეურნეო მიწების მესაკუთრეებად და ამ მიწებზე საქმიანობის წარმმართველებად კაცები არიან რეგისტრირებულები, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკა მთლიანად მიმართულია იმისკენ, რომ თუნდაც სისტემური რეგისტრაციის დროს, აქტიურად მოხდეს ქალებზე მიწების რეგისტრაცია და ამასთანავე, პროგრამები, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით აფინანსებს სხვადასხვა ინიციატივას, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ქალებისთვის.

- წინა მოწვევის პარლამენტში ჩოხატაურელთა მაჟორიტარი იყავით. მათ და მთიანი აჭარის მკვიდრებს მრავალი საერთო აქვთ. როგორც საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტის თავმჯდომარეს, რა მოლოდინი გაქვთ ორი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიმართულებით?

- დიახ, წინა მოწვევის პარლამენტში ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის ნაწილის მაჟორიტარი გახლდით. ჩემთვის განსაკუთრებული გამოცდილება იყო ხალხთან ასეთი პირდაპირი კომუნიკაცია, მათ მიერ მონიჭებული ლეგიტიმაცია და მანდატი ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია. ჩემს განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევდა აჭარული დასახლებები, სოფლები, სადაც საოცრად მშრომელი და მოტივირებული ადამიანები საქმიანობენ სოფლის მეურნეობაში. ზოგადად, ძალიან გამორჩეული მეურნეები არიან როგორც აჭარაში, ასევე, გურიაში. ვფიქრობ, სოფლის მეურნეობის წარმატებით წარმართვაში ასეთი შრომისმოყვარეობა გადამწყვეტ როლს ასრულებს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ნამდვილად გამორჩეულია. ყველა ის პროექტი, რომელსაც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს, არის მიზანმიმართული და ძალიან ეფექტიანი. იმ ბიუჯეტის ფარგლებში, რაც მათ აქვთ, ყველაფერი ოპტიმალურად არის განაწილებული. ჩემი კომპლიმენტები და დადებითი შეფასება როგორც თავად მინისტრს, ასევე მის არაჩვეულებრივ გუნდს.

- ბოლო 30 წლის განმავლობაში აჭარის მთიანეთიდან ქვეყნის 40-მდე რეგიონსა და ქალაქში 10 ათასზე მეტი ოჯახი გადავიდა. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ისევ არ დაუკანონეს მიწის ნაკვეთები. ამ პრობლემის დაძლევის გზები როგორ გესახებათ?

- მიწის ნაკვეთების დაკანონების პრობლემა ეფექტურად და ეტაპობრივად წყდება. როგორც იცით, მიწის სისტემური რეგისტრაცია, რომელიც სრულად მოაგვარებს აღნიშნულ საკითხს და ერთხელ და სამუდამოდ დაუსვამს აღნიშნულ პრობლემას წერტილს, 2024 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა მტკივნეულად განვიცდით სოფლებიდან ქალაქებში მოსახლეობის მიგრაციას. მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფოს სპეციალური წამახალისებელი პოლიტიკა აქვს შემუშავებული სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, როგორიცაა პენსიების და ხელფასების კვოტის გაზრდა, ადგილზე ბიზნესის წარმოების ხელშეწყობა და ასე შემდეგ. ეს არის ის, რასაც სახელმწიფო ახორციელებს ადამიანების ადგილზე, მაღალმთიან რეგიონებში დასამაგრებლად, თუმცა, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია სწორედ ამ ადამიანების სურვილი, არ მოშორდნენ საკუთარ კერას და მიწა-წყალს.

- ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევისას, უპირველესად რა გრძნობა დაგეუფლათ?

- პარლამენტის წევრად არჩევის დღიდან მოყოლებული, ერთადერთი გრძნობა, რაც მეუფლება, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა საკუთარი ამომრჩევლის და ზოგადად, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე. მნიშვნელობა არ აქვს, რა თანამდებობაზე ან რა პოზიციაზე ვიმყოფები ან ვიქნები, ეს პასუხისმგელობა არ მტოვებს და არ დამტოვებს არასოდეს.

- ჩინეთთან ურთიერთობები ახალ ფაზაში გადადის. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

- ჩინეთი მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანი აქტორია. ის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი ქვეყანა, მსოფლიოში ნომერ მეორე, უდიდესი ეკონომიკის მქონეა. რა თქმა უნდა, ჩინეთთან კომუნიკაცია, ურთიერთობა და სტრატეგიული თანამშრომლობა ახლა არ იწყება. საქართველო აბრეშუმის გზის შემადგენელი ნაწილია და როგორც ლოჯისტიკურად, ასევე, ინფრასტრუქტურულად და ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით, მთელი ამ წლების განმავლობაში, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ყველა ქმედება და ნაბიჯი, ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავდა მიზნად. ჩინეთს მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს, ეს უდიდესი ბაზარი საქართველოს როგორც აგრო, ასევე ყველა სხვა ეკონომიკური აქტივობის კუთხით არაჩვეულებრივ შესაძლებლობას აძლევს. სწორედ ამისათვის, საქართველო-ჩინეთს შორის 2017 წელს გაფორმდა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება, რომელმაც მნიშვნელოვნად გახსნა ჩინეთის ბაზარი ქართული, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის. ქართველი ფერმერები თუ უფრო მეტად გაერთიანდებიან და კოოპერატივებად ან რაიმე უფრო მასშტაბური ფორმით გადაწყვეტენ ოპერირებას, რა თქმა უნდა, მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნება ისეთ დიდ ბაზარზე შესვლა, როგორიც არის ჩინეთი. ჩვენ კი, სახელმწიფოს მხრიდან, ამ კომუნიკაციისა და შესაძლებლობის გასაღრმავებლად, მრავალ საინტერესო სიახლეს შევთავაზებთ.

- რამდენიმე სიტყვით შოვის ტრაგედიაზეც გვითხარით?

- ეს ყველას დარდი და ტკივილია, თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც არაფრისგან სკანდალს აგორებენ. მათ ზომიერ პასუხს საზოგადოება გასცემს.

„ ქართველი ფერმერები თუ უფრო მეტად გაერთიანდებიან და კოოპერატივებად ან რაიმე უფრო მასშტაბური ფორმით გადაწყვეტენ ოპერირებას, რა თქმა უნდა, მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნება ისეთ დიდ ბაზარზე შესვლა, როგორიც არის ჩინეთი. ჩვენ კი, სახელმწიფოს მხრიდან, ამ კომუნიკაციისა და შესაძლებლობის გასაღრმავებლად, მრავალ საინტერესო სიახლეს შევთავაზებთ

ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებთან ურთიერთობა მარტო გაღიმებითა და თავზე ხელის გადასმით არ უნდა მთავრდებოდეს

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

რა სირთულეებს ვაწყდებით სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას? რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და სახელმწიფოს მხრიდან რა კეთდება მათი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის? - ამ და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან სიახლეებზე ინკლუზიური სწავლების ფსიქოლოგი, განათლების ხარისხის მაგისტრი, ბათუმის მე-4 და დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლების უფროსი სპეციალური მასწავლებელი, საგანმანათლებლო ცენტრ IBF-ის ინკლუზიური მიმართულების მენტორი **ლალი ჯაფარიძე** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო ლალი, დღეს ძალიან ბევრს ვსაუბრობთ ინკლუზიურ განათლებაზე, და მაინც, რა არის ეს?

- ამ კითხვაზე ძალიან ბევრს აქვს პასუხი, თუმცა - ტრაფარეტული, დაზეპირებული, მშრალი, არაფრის მომცემი... ინკლუზიური განათლება საგანმანათლებლო მიდგომა და იდეაა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანატოლებთან ერთად, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური თუ სხვა მახასიათებლები აქვს ბავშვს. ეს არის კომპლექსური, ამბიციური და გამომწვევი კონცეფცია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. თეორიულ დონეზე, იგი არის იდეალური და გრძელვადიან პერსპექტივაში - სრულყოფილი, სოციალიზებული საზოგადოების შენების პროცესის ერთ-ერთი განმაპირობებელი, თუმცა, მეორე მხრივ, ინკლუზიის განათლების სისტემაში დანერგვა, მისი პრაქტიკაში გადმოტანა მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფოს. წლების წინ, როდესაც დავიწყე სპეციალურ მასწავლებლად მუშაობა, ბევრად უფრო ადვილი მეჩვენებოდა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, მაგრამ ამ გადმოსახედიდან ვხვდები, რომ ეს ასე არაა. ამ მიმართულებით სახელმწიფომ ბევრი რამ გააკეთა, თუმცა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, რაც ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი. ეს საკითხი ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, გულთან მივიტანოთ და ერთმანეთის თანადგომით მივცეთ ყველა ბავშვს სრულფასოვანი განათლება.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში რამდენად რთული პროცესია?

- სალამანკას დეკლარაციაში (UNESCO, 1994), ინკლუზიური განათლების შესახებ ხაზგასმულია, რომ განათლება არის საჯარო სარგებელი და ადამიანის არსებითი ბებით. სსსმ პირთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში არ არის მარტივი პროცესი. ის საჭიროებს ახალი რეგულაციების შემუშავებასა და გამოყენებას როგორც პოლიტიკის, ასევე პრაქტიკის დონეზე.

- ძალიან ბევრ ბავშვს, რომელიც საჯარო სკოლაში სწავლობს, აქვს სმენასთან დაკავშირებული (შეძენილი ან თანდაყოლილი) სირთულეები...

- სამწუხარო რეალობაა ისიც, რომ მშობლების უმეტესობას უჭირს აღიარება, რომ მისი შვილი ყრუ ან სმენადაქვეითებულია, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, ბავშვის საგაკვეთილო პროცესში სრულფასოვანი ჩართვა ვერ ხერხდება ან დაგვიანებულია.

- ამ მხრივ განხორციელებულ სიახლეზეც მინდა გკითხოთ - ჟესტური ენის შემსწავლელ საპილოტე პროგრამაზე, რომელსაც საქართველოს მასწავლებელთა სახლი ახორციელებს...

- ზემოთ აღვნიშნე, რომ სახელმწიფოს მხრიდან ძალიან ბევრი გაკეთდა და დღემდე დიდი ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ წელს დაიწყო (მართალია, ბევრი დარეგისტრირდა და მხოლოდ 11 შეირჩა) ჟესტური ენის შემსწავლელი კურსები. დიდი იმედი მაქვს, რომ სენე დავასრულეთ. საბაზისო ცოდნა მქონდა, რამაც უფრო გამიადვილა ეს პროცესი. მიხარია, რომ მომეცა საშუალება, უკვე ოფიციალურ დონეზე ვისწავლო ჟესტური ენა. წლებია, ყრუთა კავშირის წევრი ვარ და ამ თემის საჭიროებებს კარგად ვიცნობ. მყავს ბევრი ყრუ და სმენადაქვეითებული მეგობარი, ასევე მოსწავლეებიც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სასკოლო აქტივობაში. მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტს, ბატონ ამირან ბატატუნაშვილს, მის მეუღლეს, ქალბატონ მაია მეტონიძეს, თბილისის მასწავლებლის სახლს, ინკლუზიური მიმართულების კოორდინატორებს თეონა ხოსიტაიშვილს, თამუნა ისაკაძეს, ჩვენს არაჩვეულებრივ ტრენერებს - ფლორა ბეჟანიშვილს და მზია მელაძეს ამ შესანიშნავი პროექტისთვის და გაწეული შრომისთვის. როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა: „მხოლოდ განათლება იყო და არის წყაროდ ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა“, რაც დღემდე აქტუალურია.

ქტემბრიდან კიდევ რამდენიმე ჯგუფი დაემატება. ეს ნიშნავს, რომ სმენადაქვეითებულ მოსწავლეებთან იმუშავებენ კვალიფიციური, გადამზადებული მასწავლებლები და მოიმატებს სურდოთარჯიმანთა რიცხვი. ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ თანაბარი წვდომა ინფორმაციაზე და მათთან ურთიერთობა მარტო გაღიმებით და თავზე ხელის გადასმით არ მთავრდებოდეს. ჩემი სურვილით ვსწავლობდი ჟესტურ ენას „თავისუფალ სივრცეში“. პირველმა ჯგუფმა უკვე პირველი დო-

ბათუმი – შოვისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

პოეტ როინ აბუსელიძის ინიციატივით, ბათუმელებმა (და არამარტო) შოვში სტიქიით დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად თანხა შეაგროვეს, რითაც იმ ნივთებს და პროდუქტებს შეიძენენ, რაც მაშველებს, ასევე ადგილზე მყოფ სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე ადგილობრივ მცხოვრებლებსა თუ მოხალისეებს ესაჭიროებათ

- ეს იყო შემზარავი ტრაგედია, რაც შოვში დატრიალდა. ამ დრომდე ვერ ვიაზრებ იმ უბედურების სიმძიმეს, რაც თავს დაატყდათ იქ მცხოვრებ და დასასვენებლად ჩასულ ადამიანებს. ფაქტობრივად, ოჯახები აღარ არსებობს... ვუსამძიმრებ ყველას, ვისი ახლობელი, მეგობარი, ოჯახის წევრიც ემსხვერპლა აღნიშნულ ტრაგედიას. ძალიან რთულია, ამ დროს რაიმე ისეთი გააკეთო, რაც დაეხმარება რომელიმე მათგანს და ანუგეშებს, თუმცა მაინც ვცადეთ რაჭველებისთვის, მაშველებისა და მოხალისეებისთვის ბათუმიდან გვეგრძნობინებინა თანადგომა. წამოვიწყე ინიციატივა, რომ შეგვეგროვებინა თანხა და შოვში ჩაგვეტანა ის, რაც სჭირდებათ. ჩემს წამოწყებას თავდაპირველად ბათუმელები შეუერთდნენ, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ კეთილი ადამიანები პირადად დამიკავშირდნენ სხვა ქალაქებიდან, კუთხეებიდან და გამოთქვეს სურვილი, მცირედი წვლილი შეეტანათ აღნიშნულ საქმეში. შევაგროვეთ გარკვეული თანხა, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი კვირის განმავლობაში მაინც უზრუნველყოფს სტიქიის ზონაში მომუშავე ადამიანებს პროდუქტითა და ამა თუ იმ საჭირო ნივთით. ვისურვებ, არასდროს განმეორებულიყოს მსგავსი ტრაგედიები, არასოდეს ეგლოვოთ მშობლებს შვილები. მინდა, ყველა ჩვენგანი უსაფრთხო გარემოში ცხოვრობდეს, - გვითხრა როინ აბუსელიძემ.

სალონური საღამოს სტუმარი – გიორგი გოგიბერიძე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სალონური საღამო „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“, რომელსაც აჭარის მწერალთა სახლმა უმასპინძლა, თანაქალაქელ გიორგი გოგიბერიძის შემოქმედებას დაეთმო. პოეტმა ვახტანგ ღლონტმა შეკრებილებს გიორგის შემოქმედების ისეთი მიმართულებები გააცნო, რომლებიც ბევრისთვის სიახლე აღმოჩნდა



საინტერესო საქმიანობით გიორგი გოგიბერიძე ბევრისგან გამოირჩევა. მან ჩვენს ქალაქს შესანიშნავი კინოფესტივალი „ბიაფი“ აჩუქა. არის გამორჩეული ბათუმელი, კარგი მხატვარი, კარგი ლექტორი, საინტერესო ადამიანი. ამჟამად გიორგი გოგიბერიძე მძიმე სენს ებრძვის და ამ ბრძოლას იგებს კიდეც. მას ჩვენი - ყველას თანადგომა სჭირდება. ეს სალონური საღამოც იმ საქველმოქმედო მარათონის ნაწილი იყო, რომელიც გიორგის მხარდასაჭერად ჩვენმა ქალაქმა წამოიწყო. ამავე მიზნით, კლიპიც შეიქმნა.

დაამთავრა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტი, ზაზა ხალვაშის სახელოსნო, ამჟამად იქვე მუშაობს, არის ამ უნივერსიტეტის პროფესორი, ასევე, ნიჭიერი მხატვარი, ფოტოგრაფი, ტელეწამყვანი (გადაცემა „თეთრი კვადრატი“), ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის დირექტორი, კინორეჟისორი. ბოლო წლებია, მას, როგორც ცნობილ ადამიანს, უცხოურ ფესტივალებზე საპატიო თუ ჟიურის წევრად იწვევენ.

ეს. ისეთი ადამიანია, ყველაფერ სიკეთეს რომ იმსახურებს, ეს თანადგომა არც ამ სალონური საღამოთი დაწყებულა და არც ამით დამთავრდება, მაქსიმუმს გააკეთებს ყველა, რომ მის ჯანმრთელობას შეეხიდოს.

თემურ კეშერაძე, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი:

- კარგად მახსოვს მისი სტუდენტობა. ჩემი შვილები და გოგიტა ერთად გაზრდილები არიან. უჩვეულოდ საინტერესო ბავშვი იყო. ვერ ვიტყვი, რომ ჩაკეტილი, კარგი იყო. სტუდენტობაში „დინჯი“ კაცი გახლდათ, ერთად ვმუშაობდით კულტურის სამინისტროში. ახლაც ერთად ვმუშაობთ - ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორია. გოგიტა აკადემიური საბჭოს წევრია და როცა სხდომაზეა, სულ რაღაცას ხატავს, გგონია, „გამორთულია“ და არ ისმენს, მაგრამ რაც უნდა ჰკითხო, პასუხი მზად აქვს. ბედნიერი ვარ, რომ ის ჩემს ცხოვრებაშია. როგორც თანატოლები, ისე ვართ. საოცარი, განათლებული, ჭკვიანი, კარგი პედაგოგი, ამასთან, შესანიშნავი ორგანიზატორია. ამოდენა ფესტივალის ორგანიზატორობა არ არის ადვილი - ამას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება. მან და მისმა მეგობრებმა კიდევ ერთი საინტერესო, კარგი სტუდენტური ფესტივალი დააფუძნეს - „ლიმონი“. არ მიჭირს მასთან ურთიერთობა, მიჭირს მასზე საუბარი. დღეს მთელი ქალაქი უდგას გვერდით. მჯერა, ის დიდხანს იქნება ჩვენთან ერთად და გააგრძელებს საქმიანობას.

აპაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- გიორგის პორტრეტები კარიკატურასა და აკადემიურ მხატვრობას შორის მოქცეული ფანტასტიკური ჩანახატებია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აბსოლუტურად პროფესიონალია. სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარია ჩემი პორტრეტი, რომელიც ძალიან მინდოდა, ჩემთან დამეტოვებინა და მოხვდა ისეთი ადამიანის ხელში, რომელიც დღესაც „მლანძღავს“. მართლა სერიოზული ნამუშევარია. ძალიან მაღალი დონის ნამუშევრები აქვს. ხშირად გვითქვამს მე და გიორგი მასალკინს, რომ რასაც ეს ორი მეგობარი აკეთებს - ასეთ გრანდიოზულ ფესტივალს, არ არის ადვილი. ეს ჩვენი ქალაქის, თითოეული ჩვენგანის ისტორიაა. ეს არ არის მარტო ფილმების ჩვენება, ეს არის ადამიანების შეხვედრა. აქ ჩამოსულები იყვნენ ოთარ იოსელიანი, გია ყანჩელი... მათთან ერთად ყოფნა ხომ დიდი ბედნიერებაა... გიორგი გოგიბერიძე ჩვენი დღევანდელობაა, მჯერა, ის მუდამ ჩვენთან ერთად იქნება. ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო მას.

დავით თედორაძე, პოეტი:

- მეამაყება ის თანადგომა, რომელიც ქალაქმა გიორგისა და მისი შემოქმედების გადასარჩენად გამოხატა. წლების განმავლობაში ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა და მაქვს მის მამასთან - გენოსთან, რომელიც შესანიშნავი ხელმძღვანელი, პედაგოგი, თამადაცაა და ყოველთვის ამშვენებდა ჩვენს ქალაქს, შვილიც შესანიშნავი ჰყავს - ჩვენი ქალაქის სიამაყე. მისი ნახატები ამ სახით პირველად ვნახე და გულწრფელად ვიტყვი, რომ აღვფრთოვანდი. საერთოდ, მისი შემოქმედებით ვარ აღფრთოვანებული. არ არის ასეთი ფესტივალის ჩატარება ადვილი - ურთულესია. მას გვერდით ედგა ზვიადი, რა თქმა უნდა, და მეგობრები, მაგრამ ძირითადი სიმძიმე მასზე გადადიოდა, თუმცა ბრწყინვალედ უმკლავდებოდა და უმკლავდება კიდევ. მინდა, გამოჯანმრთელება ვუსურვო მას და ჩვენი ქალაქი დავლოცო, რომელიც ყოველთვის თანადგომის მაგალითია.

ძეთინო ბიორგაძე, პოეტი:

- ხშირად ვსტუმრობდი გოგიტას ბებია-ბაბუის სოფელში. ეს შინაგანი ინტელექტი მათგან მოდის. სკოლაში პიონერხელმძღვანელად როცა დავიწყე მუშაობა, პედაგოგადაც ვმუშაობდი - ქართულს ვასწავლიდი, გოგიტა იყო ძალიან დინჯი, მაგრამ... ერთ ღამეს დავშალეთ პიონერთა ოთახი და დავაწერეთ „სამრეკლო“... ეს ადამიანები ქმნიან ქალაქის ისტორიას, დიდხანს მინდა იყოს და ქალაქს ალამაზებდეს.

თამარ გუდავა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

- მას აქვს ადამიანებში უკვე ნაკლებად შემორჩენილი მადლიერების გრძნობა, გამორჩეული აღქმა, ადამიანური, მადლიერებით სავსეა ყველაფრის მიმართ. გიორგი ძალიან დიდხანს უნდა იყოს ჩვენ გვერდით, რადგან ძალიან სჭირდება ჩვენს ქალაქს. მხარდაჭერა, რომელსაც მთელი ქალაქი იჩენს მის მიმართ, აუცილებლად მოიტანს შედეგს. ჯანმრთელობას ვუსურვებ!

ვლადიმერ ტატიშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი:

- აჭარის ტელევიზიით ვადევნებდი ამ ფესტივალს თვალყურს. შემდეგ აქ გავიცანი უფრო ახლოს და ვხედავ, თუ რა ნიჭის მქონეა. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება, მასთან ბევრ საინტერესო პროექტზე გვქონდა საუბარი და მჯერა, რომ ამ ყველაფერს ფრთებს შევასხამთ. გარდა ამისა, მან ტელევიზიას საავტორო ფილმების უნიკალური კოლექცია შეუქმნა, რომელიც მისივე გადაცემაში „თეთრი კვადრატი“ გადის.

თემურ კახიძე, ბათუმელი:

- მადლობა გოგას, რომ არის ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ქალაქში, რომ მან თავისი სიტყვა თქვა და კიდევ იტყვის. ჩვენ ხშირად საბოლოო პროდუქტს ვაფასებთ, ვაღიარებთ, მაგრამ გვავიწყდება მოფერება იმ პირველწყაროსი, რომელმაც შექმნა ეს პროდუქტი. გოგამ თავისი სიტყვა საქმით თქვა. ის ძალიან საინტერესო ადამიანია არა მარტო ჩემთვის, არამედ ძალიან ბევრისთვის. ქალაქური ვალი გვაქვს მის წინაშე, რადგან წარმატებულია და სხვებისთვის ბევრი რამ აქვს გაკეთებული ისეთი, რასაც შეუძლია მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. გოგამ აქამდე თავისი სიტყვა თქვა და ახლა ჩვენ გვაქვს ჩვენი სიტყვა სათქმელი.

ჭარდა ჭარდუხი, მწერალი:

- დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ რეალურად წიგნით გავიცანი. გამორჩეული ადამიანია, ისეთი, რომელიც ბათუმს კოლორიტს, ფერს აძლევს. თუ ამ ქალაქში არაფერს წარმოადგენ, მაშინ არსად არაფერი ხარ. გოგა ის ადამიანია, რომელიც ამ ქალაქიდან საქართველოს წარმოაჩენს. ურთიერთობები, რომელიც „ბიაფით“ ჩამოყალიბდა, არ არის მხოლოდ მათი, ის ყოველთვის ამ ქალაქთან, ქვეყანასთანაა დაკავშირებული. ისინი ამ კინოფესტივალით ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ. არადა, რამდენი შრომა უნდა ასეთი ფესტივალის ჩატარებას, რამდენ ადამიანთან უწევთ ურთიერთობა, რომ ეს გამორჩეული ფესტივალი კარგად ჩატარდეს. ჩვენი ურთიერთობის მესამე ფაზა ნადირობით დაიწყო. ნამდვილი მონადირე არაფერს უშავებს ბუნებას და გოგა ამის საუკეთესო მაგალითია. მჯერა, ის აუცილებლად დაამარცხებს ამ დაუპატიჟებელ „სტუმარს“.

- ჩემი ჯანმრთელობიდან გამომდინარე, ონლაინ მეძლევა საშუალება, ვიყო თქვენთან ერთად. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას - ნაცნობს, უცნობს, მთელ საქართველოს დახმარებისთვის, თანადგომისთვის, რასაც ვგრძნობ. ამ ორი თვის განმავლობაში სხვანაირად შევხედე სამყაროს. დავალებული ვარ მთელი ქალაქისგან და შევეცდები, გადავიხადო, - უთხრა შეკრებილთ გიორგი გოგიბერიძემ, რომელიც სალონურ საღამოს სკაიპით ჩაერთო.

P.S. *გიორგი გოგიბერიძის დახმარების მსურველებს თანხის გადარიცხვა შეუძლიათ შემდეგ ანგარიშებზე:*

საქართველოს ბანკი:
GE52BG0000000101613000
მიმღები - ქეთევან ორაგველიძე, მეუღლე;

თიბისი ბანკი:
GE50TB7179145161600003
მიმღები - ქეთევან ორაგველიძე, მეუღლე.

> ***„გიორგის პორტრეტები კარიკატურასა და აკადემიურ მხატვრობას შორის მოქცეული ფანტასტიკური ჩანახატებია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აბსოლუტურად პროფესიონალია. სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარია ჩემი პორტრეტი, რომელიც ძალიან მინდოდა, ჩემთან დამეტოვებინა***

მისმა მეგობარმა ზვიად ელიზიანმა („ბიაფის“ მენეჯერი) ისაუბრა გიორგი გოგიბერიძის ნამუშევრების ახლახან გახსნილ გამოფენაზე, „ბიაფზე“, რომელიც რამდენიმე წლის წინ ერთად, პატარ-პატარა ნაბიჯებით დაიწყეს და განვითარდნენ. ფესტივალს თავისი გამორჩეული წვლილი უკვე შეაქვს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ამაში დიდია გიორგის დამსახურება. დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ეკრანზე გაუშვეს, გიორგი წარმოგვიდგა როგორც შესანიშნავი მხატვარი, ფილმში მისი ნამუშევრების ნაწილიც ვნახეთ. აქვე გავიგეთ, თუ როგორ შედგა ის როგორც მხატვარი, რატომ დაინტერესდა პორტრეტების ხატვით. ვიხილეთ მის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „წითელი ცხენის ბანობა“. აჩვენეს „ბიაფზე“ ჩამოსული ცნობილი ადამიანების კომენტარები, რომლებიც დიდ შეფასებას აძლევენ ამ კინოფესტივალს.

სალონურ საღამოზე გიორგის მიმართ არაერთი გულითადი სიტყვა ითქვა.

ვახტანგ ღლონტი, პოეტი:

- საღამო მიეძღვნა ჩვენს გიორგი გოგიბერიძეს - საინტერესო შემოქმედ, რომელმაც, ასევე, დააარსა „ბიაფი“. ამ კინოფესტივალის მეშვეობით, ბათუმი მსოფლიო სახელოვნებო რუკაზე როგორც დიდი ნათურა, ისე აკიაფდა, რაც მისი განსაკუთრებული დამსახურებაა. ამის განხორციელება არ იყო ადვილი, მაგრამ გიორგიმ და ზვიადმა შეძლეს.

შოვის ტრაგედია – მორიგი დაპირისპირებების მიზეზი

მე-2 გვერდიდან

მოძრაობის“ ამ მავნებლურ პოლიტიკას - სიმართლის, თავად კომისიის და დაზარალებულების დისკრედიტაციისთვის, რითაც ნებისმიერ, პირველ რიგში კი მორალურ პასუხისმგებლობას არიდებს თავს. თუ „ნაცმოძრაობა“ არ შეწყვეტს მავნებლურ პოლიტიკას და კიდევ ერთხელ მოევლინება მაშველ რგოლად „ოცნებას“, რის შედეგადაც „ოცნება“ მოახერხებს პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას, „ნაცმოძრაობა“ „ოცნებასთან“ ერთად თანაბრად გაიზიარებს პასუხისმგებლობას შოვის ტრაგედიაზე სიმართლის დადგენის და გაკვეთილის გამოტანის პროცესის ჩაშლის გამო და ორივე ძალას მოუწევს პოლიტიკური ფასის გადახდა ადამიანების ტრაგედიის საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებისთვის, - ნათქვამია პარტია „საქართველოსთვის“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

შოვის ტრაგედიის ფაქტზე საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვს ენმ-ის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი. მისი განცხადებით, არ აქვს მნიშვნელობა, ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება თუ ხელისუფლების, ყველამ ერთნაირად უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა მომხდართან დაკავშირებით, რადგან მოქალაქეებს სჭირდებათ პასუხი.

- არცერთი ადამიანის სიცოცხლე არ შერჩება რუსულ პარტიას და მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია კონკრეტული დამნაშავეების შესახებ. რუსული პარტიის რუსი შოთაძე-კობახიძე ამას არ გამოიძიებს, ეს ყველამ კარგად იცის, ამიტომ უმნიშვნელოვანესია ამ საგამოძიებო კომისიის შექმნა, - განაცხადა ხაბეიშვილმა.

პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრი და იურისტი ანა ნაცვლიშვილი თვლის, რომ „შოვი არის დანაშაულის ადგილი“.

- შოვი არ არის მხოლოდ სტიქიური უბედურების ზონა, შოვი არის დანაშაულის ადგილი. ამიტომ იყო ხელისუფლებისთვის არასასურველი იქ მოხალისეები, ჟურნალისტები, საერთაშორისო დახმარება. ამიტომ დაიწყეს თავდასხმა გადარჩენილებზე. დამნაშავეს არ უყვარს მოწმეები, ეშინია მათი, - აცხადებს ანა ნაცვლიშვილი და პროკურატურას მოუწოდებს, საქმის გამოძიება სავარაუდო სამოხელეო დანაშაულის, ანუ სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით დაიწყოს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ბექა ოდიშარიას შეფასებით, კობახიძემ საზოგადოებას ნათლად, გულწრფელად აუხსნა მისი განცდა მას შემდეგ, რაც დავით ჯელაძე გაიცნო და ესაუბრა.

„იცით, რა გარემოში გვიწევს მუშაობა - ოპოზიცია და ოპოზიციურად განწყობილი მედია მუდმივად ცდილობენ ჩვენს დადანაშაულებას, მოდიან სტიქიის ადგილზე და გეუბნებიან: ხელისუფლებამ დააკლო ხელი, თქვენი ბრალია, „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა მოქმედებამ ადამიანების დაღუპვა გამოიწვია. როცა ამ ფონზე ხელში რაღაც სურათს გაჩეჩენენ, შესაძლებელია ადამიანმა შეცდომა დაუშვა, რაზეც კობახიძემ ვაჟკაცურად და ღირსეულად ისაუბრა.

სიტყვა „სინანული“ მაღალი ღირსების აღმნიშვნელია და კარგი იქნება, თუ ოპოზიციური პარტიის ზოგიერთი ლიდერი ამას მისგან გადაიღებს და იმ ბევრ ცოდვას მოინანიებს, რომელიც ქართველი ერის წინაშე მიუძღვით.

ადამიანებმა ერთმანეთს გაუგეს და ეს კომუნიკაცია იმდენადაც კი ამოიწურა, რომ დავით ჯელაძემ დამატებითი კომენტარების გაკეთება არც კი ისურვა, რადგან ჩათვალა, რომ მისი გმირული საქციელი აღიარებულია არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ პოლიტიკური სპექტრის მხრიდან", - განაცხადა ბექა ოდიშარიამ.

ათი კურსდამთავრებულიდან ათივე სტუდენტი გახდება

სკოლის ხელმძღვანელობის, თითოეული პედაგოგის საქმიანობის ერთგვარი საზომია მათი აღზრდილების წარმატება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. ამ მხრივ ნამდვილად შეუძლია იამაყოს ხულოს მუნიციპალიტეტის წაბლანის საჯარო სკოლამ. სკოლის დირექტორ გულნარა შაინიძესთან საუბარში ყველაფერი უფრო ნათლად წარმოჩნდება.

- ჩვენი სკოლა ფეხს უწყობს ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს. სკოლის ხელმძღვანელის, თითოეული პედაგოგის ვალია, საქმით უპასუხოს ეროვნული სკოლების წინაშე მდგარ გამოწვევებს. ჯერ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდეგ სკოლის დირექტორად მუშაობის 18-წლიანმა პრაქტიკამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ იცოდე, უნდა ისწავლო და სხვასაც ასწავლო, რათა შენმა აღსაზრდელებმა ცხოვრებაში კვალი ნათელი დატოვონ.

- სკოლის, თითოეული პედაგოგის საქმიანობას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგებით აფასებენ...

- ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა აღმოფხვრა ის კორუფცია, თუნდაც განუკითხაობა, რაც ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მასობრივ ხასიათს ატარებდა. ძველი, დრომოჭმული სისტემის პირობებში, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სასურველ განათლებას ვერ მიიღებდა. იყო წლები, როცა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა 90-95 პროცენტი დადებით შეფასებას იღებდა და სასურველი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ხდებოდა, მაგრამ წლევანდელმა შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. 13 კურსდამთავრებულიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 10 დარეგისტრირდა და ათივემ მაღალი ქულები მიიღო. ნატო, ირმა, ანუკი შაინიძეების შედეგები კი გრანტის მოპოვების გარანტიასაც იძლევა. ჩვენთვის ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ ისინი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გახდებიან.

- მთიანი აჭარის სოფლები ცარიელდება, რაც მოსწავლეთა კონტინგენტზეც აისახება. ეს მტკივნეული პროცესი ყველაზე მეტად წაბლანას უნდა შეხებოდა, რადგან 1989 წლის 19 აპრილის ტრაგედია სწორედ ამ სოფლის მკვიდრებმა გადაიტანეს...

- ალბათ, იშვიათია სოფელი, რომლის მკვიდრი ადგილის დედის ისეთი ერთგული, მოსიყვარულე და მოამაგეა, როგორიც წაბლანელი. ჯერ ისაა დასაფასებელი, რომ მათ ისტორიული ქვემო ქართლის მიწაზე ერთ დროს აყვავებული, მაგრამ დროთა ქარტეხილების მიერ გავერანებული ქართული სოფელი აღადგინეს და იმ სოფელში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებლური ტაძარი ააშენეს. ჩვენი სახე და სახელი - სხალთის ტაძარი წაბლანის შემოსასვლელშია. მათ აქედან გაყოლებული მადლი იქ ჩაიტანეს. იმ ავბედითი დღიდან მოყოლებული, მეწყრული პროცესები სოფელში ისევ გრძელდება. მოქმედმა ხელისუფლებამ წაბლანელებს ბათუმში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიც აუშენა. ამის მიუხედავად, ახალ სასწავლო წელს სკოლაში 96 მოსწავლე მოვა, რომელთაგან 6 პირველკლასელია. სხალთის ხეობაში არსებულ სკოლებს შორის ყველაზე მაღალი კონტინგენტი ჩვენთანაა. ისიც ვთქვათ, რომ უკვე მოქმედი შუახევიჰესის გვირაბი, 9,8 მეგავატი სიმძლავრის სხალთაჰესი ჩვენი სოფლის ტერიტორიაზეა.

- თავის დროზე ბევრი ქველმოქმედებად მიიჩნევდა ახლად აშენებული წაბლანის სკოლის ხის შენობის კოდორის ხეობის სოფელ გენწვისში გადატანას... სოფელს სკოლა აღარ შერჩა, ქვეყანას - კოდორის ხეობა. დღეს რაგორი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაქვთ?

- წლებია, სასწავლო პროცესი ყოფილი სასკოლო ინტერნატის შენობაში მიმდინარეობს, რაც სირთულეებთანაა კავშირში. მჯერა, ეს პრობლემაც მალე მოგვარდება.

- 7 წლის განმავლობაში სკოლის არჩეული დირექტორი იყავით. სასკოლო რეფორმა გავალდებულებთ სკოლის დირექტორის თანამდებობის შესაბამისი პროცედურების გავლას...

- სულ მალე ცნობილი გახდება იმ პროცედურის შედეგი, რაც როგორც სკოლის მოქმედმა დირექტორმა, უფრო სწორად, მოვალეობის შემსრულებულმა გავიარე. იმედი მაქვს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლის ხელმძღვანელად მუშაობას იმ რეგულაციების შესაბამისად დავიწყებ, რასაც განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები გვაკისრებს.

- ამბობენ, გაზიარებული ჭირი განახევრებულიაო. მრავალ განსაცდელს გამოვლილი სოფლის მკვიდრი შოვში დატრიალებულ ტრაგედიას როგორ გამოეხმაურეთ?

- იმასაც ამბობენ, დრო გაივლის და ჭირიც გადაივლისო. 34 წელი გადის წაბლანაში დატრიალებული ტრაგედიიდან. ჩვენ ისეთივე ტკივილითა და წუხილით ვხვდებით ყოველი წლის 19 აპრილს, როგორც ტრაგედიის პირველ წლებში. ის 10 წარმატებული აბიტურიენტი, რომლებმაც წელს გვასახელეს, ყოველ 19 აპრილს ჩანჩურხევში - ტრაგედიის ადგილზე მიგვყავდა და ამ დღესთან დაკავშირებით ისინიც საკუთარ პოზიციას აფიქსირებდნენ. 23-ივე დაღუპულთა ოჯახთან, ახლობლებთან კეთილი, მეგობრული და მეზობლური ურთიერთობები მაქვს. მეც დავიტირე ეულად დარჩენილი ზინა შაინიძე, სიტყვით თანავუგრძნობ დავით შაინიძის ქვრივსა და მის შვილებს. ის ყიშლის (ახლა - წაბლიანის) სკოლის დირექტორი იყო. მეც და ყველა ჩემმა თანასოფლელმა კარგად ვიცით, რა მძიმეა ის ტრაგედია, რომელიც შოვს და სრულიად საქართველოს 3 აგვისტოს თავს დაატყდა. ბუნების წინაშე ყველანი უძლურნი ვართ. ის დაკარგულ-დაღუპულები, რომელთა ძებნა გრძელდება, ყველას სატკივარია. მამა სხალთის ხეობაში ცნობილი ადამიანი იყო. მისი წუთისოფლიდან წასვლა ჩემთვის მძიმე იყო, თუმცა ნუგეშად მისი სამუდამო სასუფეველი მრჩება. ეგებ ინებოს უფალმა და იმ ჭირისუფალს, რომელიც დაკარგულებს დღემდე ეძებს, ნუგეშად საფლავი მაინც შერჩეს.

„იმ ავბედითი დღიდან მოყოლებული, მეწყრული პროცესები სოფელში ისევ გრძელდება. მოქმედმა ხელისუფლებამ წაბლანელებს ბათუმში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიც აუშენა. ამის მიუხედავად, ახალ სასწავლო წელს სკოლაში 96 მოსწავლე მოვა, რომელთაგან 6 პირველკლასელია. სხალთის ხეობაში არსებულ სკოლებს შორის ყველაზე მაღალი კონტინგენტი ჩვენთანაა

ღომაზე ტურისტული ლოკაცია კეთდება

ღომა, ნამეფვარი, ბრილი, ხიხაძირი, ჩალეწილები, ლელთის ტბა, მირვეთი იმ ლოკაციების ჩამონათვალია, სადაც აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და საპიკნიკე სივრცეების მოწყობა-განვითარება მიმდინარეობს

მთა ღომაზე ამ მიზნით იმყოფებოდნენ აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ლელა გოგუაძე, სპეციალისტები ლიკა ურუშაძე, ჯემალ ჭელიძე. მათ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად რამდენიმე ადგილი შემოიარეს. საბოლოოდ არჩევანი წინაველაზე შეაჩერეს. ეს ის ტერიტორიაა, საიდაც კარგად მოჩანს ხიხანის ციხე, დაბა ხულო და სოფლები, შუახევის, ქედის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, მერისის ხეობა. ადგილის შერჩევისა და პროექტის გაცნობის შემდეგ ლელა გოგუაძეს გავესაუბრეთ.

- ჩვენი მიზანია სამთო ტურიზმის განვითარება. ის ტურისტული ლოკაციები, რომლებიც საშუალებას იძლევა, რომ მთა, სოფელი ტურისტული თვალსაზრისით დაიტვირთოს, მცირე ტურისტული ლოკაციები განვავითაროთ. მთა ღომაზე მოვაწყობთ საპიკნიკე ზონას. უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებს საშუალება ექნებათ, ბათუმიდან ყველაზე ახლოს მდებარე

ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ლელა გოგუაძე, სპეციალისტები ლიკა ურუშაძე, ჯემალ ჭელიძე. მათ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად რამდენიმე ადგილი შემოიარეს. საბოლოოდ არჩევანი წინაველაზე შეაჩერეს. ეს ის ტერიტორიაა, საიდაც კარგად მოჩანს ხიხანის ციხე, დაბა ხულო და სოფლები, შუახევის, ქედის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწმთაში ამოვიდნენ, ალპურ ზონაში იმოგზაურონ, მოაწყონ კემპინგი. ასეთი ალპური ზონების განვითარება მნიშვნელოვანია. ეს ტერიტორიები ჯერჯერობით ვიზიტიორებისთვის ნაკლებადაა ცნობილი, არადა, ალპური ზონა ერთ-ერთი გამორჩეული დანიშნულებისაა ჩვენს ტურისტულ მარშრუტებში. ამ ტურისტულ ლოკაციაზე 25 ათასამდე ლარი დაიხარჯება. ანალოგიური საპიკნიკე ზონები კიდევ რამდენიმე ტურისტულ ლოკაციაზე მოეწყობა, - თქვა ლელა გოგუაძემ.

სიტყვას საქმე მოჰყვა

ერთ დროს სოფელ ტბეთის ლომსიანეთის უბანში 20 კომლზე მეტი ცხოვრობდა. მიგრაციული პროცესების შემდეგ რამდენიმე კერა ნასახლარად იქცა. გასულ ზამთარს უბანს 3 კომლიღა შემორჩა

დადგა ზაფხული თუ არა, 15 მიტოვებული სახლის კარები გაიღო. ახმიანდა ეზოები. უბანში საავტომობილო გზა ტბეთიდან და სოფელ გოგაძეებზე გამოვლით შედის. თითქმის 5 კილომეტრის გავლაა საჭირო, რომ ლომსიანეთელი ადგილზე მივიდეს, რაც ხარჯებს უკავშირდება. ამ დროს

ლომსიანეთი-ტბეთის ერთკილომეტრიანი საავტომობილო გზა, რომელიც აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია, უმოქმედო იყო. გზის ერთ მონაკვეთზე მურყანი ისე გაზრდილიყო, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა.

ლომსიანეთელებმა დახმარება შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავიანთ რჩეულს როსტომ ლორთქიფანიძეს სთხოვეს. ამ უკანასკნელმა საქმის კურსში კომპეტენტური ორგანოები ჩააყენა. სამი დღის განმავლობაში მექანიზატორი ამირან ზოსიძე, გზის ოსტატი ვახტანგ გოჩიტიძე ლომსიანეთი-ტბეთის გზის შეკეთებაზე ლომსიანეთელებთან ერთად მუშაობდნენ.

- სიტყვას საქმე მოჰყვა. ამიერიდან უბანი ისევ მოკლე გზით დაუკავშირდება სოფელს, - გვითხრა რამინ ბახტაძემ, - დეპუტატი უბანში მოვიდა. გზის რეკონსტრუქციის გარდა, მასთან გამართულ შეხვედრაზე სხვა პრობლემებზეც ვისაუბრეთ. პირველ რიგში, საქმე ტყის რესურსების მიზნობრივად გამოყენებას, სოფლის შემოგარენში არსებული ტყეებიდან ზეხმელი მერქნის გამოტანას ეხებოდა. ეს პრობლემაც ყურად იღო. გაისად ტბეთი-ლომსიანეთის საავტომობილო გზის რამდენიმე მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგებასაც შეგვპირდა. იმედია, ეს პირობაც შესრულდება.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებაზე გაცილებით მეტი მსგავსებაა

ძალადობას სქესი არ გააჩნია

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

*რა კლავს სიყვარულს? რა შემთხვევაშია მისი შენარჩუნება შესაძლებელი? რა არის ბედნიერი თანაცხოვრების საიდუმლო? გასაღები? - ამ მარადიულ კითხვებზე პასუხებს ქალებიცა და მამაკაცებიც ყველა ეპოქაში ეძებენ. დღეს მათზე პასუხებს ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორისგან, ფსიქოლოგიის კლინიკის ხელმძღვანელ **ძეთევან ბერიძისგან** მივიღებთ.*

- რა ძირითადი განსხვავებებია ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიას შორის?

- მასობრივ ცნობიერებაში არსებობს შეხედულება, რომ ქალები და მამაკაცები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თვლიან, რომ მამაკაცი არის აქტიური, ამბიციური, რაციონალური, დამოუკიდებელი და არაემოციური, ხოლო ქალი - ნაზი, მგრძნობიარე, ემოციური, დამოკიდებული, პასიური. საზოგადოებაში ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული განსხვავებები განპირობებულია მათი ბიოლოგიური თავისებურებებით და ხშირად სრულებით არ ახსენებენ იმას, რომ ქალსა და მამაკაცს შორის გაცილებით მეტი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება, თუმცა არის პიროვნული მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც არსებობს გენდერული სხვაობები. ემოციურობაში არსებულ გენდერულ განსხვავებებს ბევრი ფსიქოლოგი ხსნის გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული აღზრდით. იუნგის თანახმად, ბიჭების აღზრდის პროცესში ხდება ემოციების ჩახშობა მაშინ, როცა გოგონებში დომინირებს ემოციების გამოვლენა. ტრადიციულად, მამაკაცების მიერ გრძნობების გამოვლენა არაა მიღებული, რაც გამოხატულია ემოციური სიმტკიცის ნორმაში, ამასთანავე, მამაკაცები და ქალები განსხვავდებიან სხვადასხვა ემოციის გამოხატვაში: ის, რაც „შესაფერისია“ ქალისთვის (ტირილი, სენტიმენტალობა, შიში), „არასაკადრისია“ კაცისთვის და რაც „შეეფერება“ კაცს (რისხვის, აგრესიის გამოვლენა), „შეუფერებელია“ ქალისთვის.

- რამდენად უშლის ან ეხმარება მათ ურთიერთობებში ეს განსხვავებები?

- ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის ხელის შემშლელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მამაკაცი არ ითვალისწინებს პარტნიორის აზრს და თვლის, რომ ოჯახში ძირითად და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას თავად უნდა იღებდეს, რაც შესაძლოა, გახდეს მათ შორის კონფლიქტის მიზეზი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებები ხელს უწყობს ჰარმონიულ ურთიერთობას. კერძოდ, თუ ერთს უყვარს ბევრი ლაპარაკი და მეორეს ურჩევნია მოსმენა, შეძლებენ ბედნიერ თანაცხოვრებას.

- ყველაზე ხშირად რა უთანხმოება ხდება წყვილის კონფლიქტის მიზეზი და როგორ შეიძლება მათი თავიდან არიდება?

- ნებისმიერი ცხოვრებისეული საკითხი შესაძლებელია გახდეს კონფლიქტის მიზეზი და, ასევე, კრიზისული პერიოდების შემთხვევაში ერთი და იგივე, კლასიკური მიზეზი იწვევს კონფლიქტს, კერძოდ, ახალდაქორწინებულობის ხანაში, ბავშვის დაბადების დროს და სხვა.

- არის თუ არა მოგებიანი თამაში, ანუ ერთ-ერთი პარტნიორის მცდელობა, შეესაბამებოდეს მეწყვილის მოთხოვნებს?

- არა, რა თქმა უნდა, რადგან ასეთ შემთხვევაში ადამიანი უარს ამბობს საკუთარ სურვილებზე, ინტერესებზე, რამაც შეიძლება მიიყვანოს საკუთარი თავის დაკარგვამდე. თუ ეს გრძელდება წლების განმავლობაში და გარკვეული პერიოდის შემდეგ გააცნობიერებს საკუთარ ქცევას, შეიძლება მოჰყვეს მწვავე რეაქცია.

- რას ურჩევთ ქალებს, რომლებსაც პროფესიული და პიროვნული ზრდის სურვილი აქვთ, მაგრამ პარტნიორი მისგან მხოლოდ დიასახლისობას ან რაიმე სხვას (კომპანიონობას, მეგობრობას) მოითხოვს?

- ვურჩევდი, დაფიქრებულიყო, ვის გვერდით იმყოფება. სადაც ჭეშმარიტი გრძნობაა, იქ ზეწოლა, აკრძალვები და ულტიმატუმები არ არსებობს. ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობის მტერი გახლავთ ძალადობა.

- თქვენი აზრით, სად გადის ზღვარი გონივრულ დათმობასა და მორჩილებას შორის?

- ოჯახური ურთიერთობა გულისხმობს გარკვეულ დათმობას, ერთმანეთის მოსმენასა და ანგარიშის გაწევას, ერთმანეთის აზრის პატივისცემას და გათვალისწინებას, ხოლო მორჩილების შემთხვევაში შენი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებ, შესაბამისად, მას განვიხილავთ როგორც ძალადობრივ ქცევას.

- რა არის ოჯახური ან, უბრალოდ, წყვილის სტაბილური ურთიერთობის განმსაზღვრელი?

- სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, საერთო ინტერესები, განათლების და სოციალური მდგომარეობის თანაბარი დონე.

- მოგეხსენებათ, ხშირად გრძნობა უკვალოდ ქრება, თქვენი აზრით, რა შემთხვევაში უძლებს სიყვარული ქალსა და მამაკაცს შორის დროს?

- სტაბილურობაზე გავლენას ახდენს ცოლის საქმიანობის ხასიათიც, სახელდობრ, ახერხებს თუ არა იგი საოჯახო საქმეების შეხამებას სამუშაოსთან, თუ თავისი დროის ძირითად ნაწილს უთმობს ოჯახურ საქმიანობას. ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობებისთვის საჭიროა ორივე მეუღლის ორმხრივი ფსიქოლოგიური კეთილდღეობა. ამ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახური როლების სამართლიან განაწილებას.

- საერთოდ, დათმობა ხომ კარგია, მაგრამ - სანამდე?

- დათმობა და არა კომპრომისი, თუ ეს არ სცილდება ადამიანის მოთხოვნილებებს.

- როგორ ფიქრობთ, რა არის ხშირად ოჯახური ძალადობის მიზეზი?

- ძალადობის გამომწვევი მიზეზი ხშირად არის სიღარიბე, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, ავადმყოფი ბავშვი, უმუშევრობა, დეპრესია, დრომოჭმული ტრადიციები, პიროვნული თვისებები, განათლების განსხვავებული დონე, განსხვავებული ინტერესები, გენდერული სტერეოტიპები.

- ხშირია ქალთა მიმართ ძალადობა, თუმცა მამაკაცებიც ხდებიან მათი მხრიდან მსხვერპლნი...

- ძალადობას სქესი არ გააჩნია. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა ქალი მანიპულირებს, კერძოდ, იყენებს ბავშვს მამაკაცის დასასჯელად. ეს გარემოება განსაკუთრებით ვლინდება გაყრის შემთხვევაში. ზოგადად, სქესთა შორის განსხვავებულია ძალადობის ფორმა, კერძოდ, ქალები უმეტეს შემთხვევაში მიმართავენ ემოციური ძალადობის ფორმას და უგულებელყოფას, ხოლო მამაკაცები - ფიზიკურ ძალადობასაც.

- თქვენი აზრით, რა არის სტაბილურობისა და ჰარმონიის შენარჩუნების საიდუმლო და რას ურჩევდით წყვილებს?

- პირველ რიგში, ყველას ვურჩევ უყვარდეთ და პატივი სცენ საკუთარ თავს, იკმაყოფილებდნენ სურვილებს და უარს არ ამბობდნენ საკუთარ მისწრაფებებზე, იყვნენ გულწრფელნი ურთიერთობაში. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი, გიყვარდეს და პატივს სცემდე მეორე ადამიანს.

„პორტუსი“ და „ბათუმი“ – საქართველოს ჩემპიონები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მამაკაცთა ათი და ქალთა რვა გუნდი იბრძოდა საქართველოს ჩემპიონატზე პირველობისთვის ქვიშის ფეხბურთში, რომელიც ბათუმის ზღვისპირა პარკის ქვიშის მოედანზე ჩატარდა

ჩემპიონატი ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი ივლისში გაიმართა, ფინალური კი 11-13 აგვისტოს. ტურნირი საქართველოს და აჭარის ფეხბურთის ფედერაციებმა და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდმა ჩაატარეს, მხარდამჭერი კი ბათუმის სპორტული ცენტრი გახლდათ.

ფინალს ბევრი გულშემატკივარი დაესწრო, მათ შორის იყვნენ როგორც ბათუმელები, ისე ქალაქის სტუმრები. მასპინძლებს გვახარებს, რომ ქალთა და მამაკაცთა შორის გამარჯვებული გუნდები ჩვენი ქალაქიდანაა.

მამაკაცთა შორის საქართველოს ჩემპიონის ტიტულს ბათუმის „პორტუსი“ დაეუფლა (მთავარი მწვრთნელი - ზურაბ შამილაძე). აღსანიშნავია, რომ ეს ამ გუნდის წარმატებული დებიუტი გახლდათ და მან ფინალში მოქმედი ჩემპიონი „თელავი“ ანგარიშით 4:3 დაამარცხა. მესამე ადგილზე თბილისის „არმია“ გავიდა.

რაც შეხება ქალებს, აქ პირველი ადგილი „ბათუმმა“ დაისაკუთრა (მთავარი მწვრთნელი - გელა კიკალიშვილი), რომელმაც ფინალში თბილისის „ელიტა“ დაამარცხა ანგარიშით 7:4. მესამე ადგილი ქუთაისის „მართვემ“ მოიპოვა.

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ხვიჩა მახარაძე („პორტუსი“) დასახელდა.

როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი თორთლაძემ აღნიშნა, ასეთი ტურნირების ჩატარება ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ზაფხულობით ფეხბურთელებს თამაშები არ აქვთ.

ჩემპიონთა გუნდის ფეხბურთელმა ნათია თავართქილაძემ გვითხრა, რომ ისინი ტურნირისთვის სათანადოდ მოემზადნენ და კარგი შედეგიც მიიღეს.

როგორც ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ჯაბა ჭანტურიამ აღნიშნა, გამარჯვებულმა გუნდებმა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს, რომელიც გაისად პორტუგალიაში ჩატარდება.

გახსენება

იური კილაძე



ორმოცი მტკივნეული დღე გავიდა, რაც ქვეყანამ, სამეგობრომ, კილაძეების საგვარეულო კავშირმა და ოჯახმა უკანასკნელ გზაზე გააცილა ღირსეული ბათუმელი, ერისა და ქვეყნის ადათწესების ერთგული და დამცველი იური კილაძე. მისი გარდაცვალება, პირველ რიგში, მოუნელებელი ტკივილია ოჯახისთვის. იგი ნანული ხანთაძის ერთგული თანამეცხედრე, ორი ვაჟის, 5 შვილიშვილის, რძლების მისიყვარულე მამა, ბაბუა და მამამთილი გახლდათ.

ბატონმა იურიმ ცხოვრების, შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობის საკმაოდ დიდი გზა განვლო. პროფესიით მშენებელმა ინჟინერმა შრომითი კარიერა ბათუმის სამშენებლო კომბინატში დაიწყო, რომელშიც 1966-1975 წლებში მთავარი ინჟინრის, მომდევნო 12 წლის განმავლობაში კი დირექტორის პოზიციაზე იმუშავა.

ბატონი იური 1986-1991 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, 1991-2008 წლებში კი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების „აჭარყოფსერვისის“ პრეზიდენტი იყო, საიდანაც პენსიაზე გააცილეს.

ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულს, მეგობრებიც საუკეთესო ჭყავდა. ოჯახისა და გვარის მოსიყვარულე, ეროვნული ტრადიციების ერთგული დამცველი იყო. მისი პოზიცია, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის პრინციპული და შეუვალი გახლდათ.

ძვირფასი ადამიანის - იური კილაძის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მეგობრების, ნათესავების, ახლობლების გულებში.

უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ბათუმელო და მოგვარევ!

ნოდარ კილაძე,
კილაძეების საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 17/08/23, 18 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ირაკლი ჩიქოვანის შეულამაზებელი სათქმელი...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

თვლის, რომ ნამდვილ ხელოვანს ყოველგვარი შელამაზების გარეშე მიაქვს საზოგადოებასთან სათქმელი და არ უშინდება მისგან წამოსულ შეფასებებს, რომლებიც შესაძლოა, მის მხატვრობაში არსებულ სარკაზმს, ირონიას უკავშირდებოდეს ან თუნდაც იმას, რომ ვიღაცამ მისთვის მისაღები ფერები ვერ იპოვა ტილოზე. უყურებ მის ტილოებს და პროცესში თანამონაწილეობის განცდა გეუფლება, თითქოს გამოიცნო და მთელი სიზუსტით აღბეჭდა შენი ემოციები, დამოკიდებულება სამყაროსა და ყოველდღიურობისადმი. ამბობს, რომ ფერი მისთვის უბრალო ინსტრუმენტია, მთავარია ის სურათი, რომელიც საბოლოო ფორმას იძენს და გამოდის დღის შუქზე. მეტი სივრცე და ნაკლები ფიგურები არის მხატვრის ის მთავარი მიგნება, რომელიც ამარტივებს, მაგრამ ამავდროულად აღქმის დიდ და სიღრმისეულ არეალს უტოვებს დამთვალიერებელს

გაზეთ „აჭარის“ სტუმარია დედაქალაქელი მხატვარი ***ირაკლი ჩიქოვანი,*** *რომლის პერსონალურ გამოფენას ბათუმის ხელოვნების მუზეუმი მასპინძლობს.*

- თქვენი შემოქმედების ექო...

- ძირითადად, სოციალურ თემატიკაზე ვმუშაობ, თითოეული ნახატი უკავშირდება ქვეყანაში მიმდინარე ამა თუ იმ მოვლენას. მხატვრობა იძლევა საშუალებას, რომ კონკრეტული ამბის ექო მუდმივად შემორჩეს, მუდმივად დააფიქროს ადამიანი, მისცეს მოცემულობის სიღრმისეულად გაანალიზების უნარი. ჩემს შემოქმედებაში არის ხოლმე ირონიის, სარკაზმის კონტურები, რაც ვთვლი, ყველა მხატვრის, ზოგადად, შემოქმედი ადამიანის ერთგვარი „იარაღია“. დღეს იშვიათად იყენებენ ამას, თითქოს ყველას უნდა, ნათელ ფერებში გამოხატოს სათქმელი, რადგან ეს უფრო მოსწონს საზოგადოებას. თუმცა, თუ თვალს გავუსწორებთ რეალობას, ის ხშირად მტკივნეულია, მუქია. მიმაჩნია, რომ ხელოვნება მხოლოდ სილამაზეს კი არ უნდა ასახავდეს, არამედ სინამდვილესაც. შესაბამისად, ვცდილობ, ჩემი სათქმელი შეულამაზებლად მივიტანო ადამიანებამდე.

- როგორ ფიქრობთ, ნამდვილ ხელოვნებას გამბედაობა სჭირდება?

- ნამდვილ ხელოვნებას ყოველთვის სჭირდებოდა და დღესაც სჭირდება გამბედაობა. არ უნდა იყო რაიმეზე მიჯაჭვული, უნდა შეგეძლოს მესამე სივრცის მოძებნა. სადღაც ყოველთვის არსებობს ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზა, რომელსაც ხელოვანი უნდა მისდევდეს. და თუ ის ამას გაურბის, რაც უნდა კარგი ოსტატი იყოს, მნიშვნელობა აღარ აქვს, რას აკეთებს, მის შემოქმედებას უკვე ეკარგება ხარისხი. მაღალი ხელოვნება თავისუფალი უნდა იყოს გარე ფაქტორებისგან, განცდისგან, რომ შევქმნათ ყველასთვის მოსაწონი. მთავარი იცით, რა არის? მხატვრის სწორი ხედვა, დროის და იმ ეპოქის აღქმა, რომელშიც რეალურად გვიწევს ცხოვრება.

- ვუყურებ თქვენს ნახატებს და განცდა მეუფლება, რომ გალერეადან გასულს ის ადამიანები დამხვდებიან გარეთ... ანუ, თქვენი შემოქმედების გაგრძელებაა რეალური ცხოვრება და პირიქით...

- დიახ, სწორედ ეგ არის ჩემი შემოქმედების მთავარი ემოცია - ერთგვარი ხიდი გავდო ამ დამოუკიდებელ და თავისუფალ ორ მოცემულობას შორის...

- ალბათ, ყოველდღიურობა გაძლევთ ინსპირაციას, მაგრამ მაინც, რა არის ის მთავარი, რაც ხატვისთვის განწყობას გაძლევთ?

- ვერ გეტყვით რაიმე კონკრეტულს, რა მიბიძგებს ხატვისკენ. ალბათ, როგორც აღნიშნეთ, ყოველდღიური დაკვირვებები, ემოციები, ის ამბები, რაც ხდება ირგვლივ. ზოგი სოციალურ სივრცეში წერს თავის მოსაზრებებს, გამოხატავს პროტესტს ან კმაყოფილებას. ჩემს შემთხვევაში გამოსახატავი ემოცია ტილოზე პოულობს ბინას...

- თქვენთვის, როგორც შემოქმედი ადამიანისთვის, რა ემოცია მოაქვს ბათუმს?

- ნებისმიერ ქალაქს თავისი საიდუმლო აქვს, მაგალითად, ცხოვრების სტილი, ყოველდღიურობა... ბათუმს თავისი რიტმი აქვს და ის ჩემთვის თავისებურად საინტერესოა. მაგალითად, თბილისი ჩემთვის უფრო არის მტვერი, ქაოსი, ნაცრისფერი, ბათუმი კი უფრო მწვანე ფერებთან ასოცირდება, თუმცა შიგადაშიგ ჭაობისფერი, დამახასიათებელი ჟანგისფერიც დაჭკრავს.

- გამოფენას, რომელიც ბათუმის ხელოვნების მუზეუმში წარადგინეთ, „პალატა ნომერი 8“ ჰქვია. რატომ?

- ჩემი აზრით, ადამიანები ერთ „კუბში“ ვართ ჩასმული და იქიდან განვიხილავთ მიმდინარე სოციალურ ამბებს. ეს სახელწოდება იმიტომ ავირჩიე, რომ თბილისში, რუსთაველის 8 ნომერში არის შენობა, სადაც განვითარებული მოვლენები ქვეყნის დღის წესრიგს, ცუდად თუ კარგად, ცვლის. ჩემთვის ეს ადგილი არის პალატა, სადაც არაერთი სიგიჟე ხდება, რომელიც ადამიანებს ხშირად ურთულებს ცხოვრებას. მე ვხედავ და ვხატავ იმას, რაც რეალურად ხდება და არა იმას, რაც მინდა, რომ მოხდეს.

„იფ იფ ანას“ ისტორია, 100 ათასზე მეტი გამომწერი და საქმე, რომელიც აბედნიერებს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ანა მითაიშვილი *ბათუმში დაიბადა, დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ჟურნალისტიკა შეისწავლა. მიუხედავად სხვა პროფესიისა და საკმაოდ წარმატებული კარიერისა, საკუთარი თავი კულინარიაში იპოვა და ახლა ერთ-ერთი პოპულარული ფუდბლოგერია. ანას ბლოგს სახელწოდებით „იფ იფ ანა“ სოციალურ გვერდზე 100 ათასზე მეტი გამომწერი ჰყავს. როგორც თავად ამბობს, მათ წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობს, რადგან მისი რეცეპტებით მომზადებულ კერძებს ისინი სახლში ამზადებენ. იმდენად გამორჩეული და ორიგინალური ვიზუალის კერძებს ქმნის, შეუძლებელია, ერთი თვალის შევლებითვე დაგემოვნების სურვილმა არ გძლიოს. დღეს ანა თავის ბლოგზე და სხვა საინტერესო დეტალებზე გვესაუბრება.*

- ანა, სანამ კულინარიას დაეუფლებოდით, სად მუშაობდით?

- 12 წელი ვიმუშავე ერთ-ერთ წამყვან ფინანსურ ინსტიტუტში.

- იდრე მიღებული სამუშაო გამოცდილება თუ დაგეხმარათ ახალ საქმეში და რითი?

- ფინანსურ ინსტიტუტში მუშაობა გაძლევს მომსახურების სფეროში ძალიან დიდ გამოცდილებას, ამავდროულად, გიყალიბებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა დროის სწორად დაგეგმვა და გამოყენება, ორგანიზებულობა, საკუთარი თავის წარმოჩენა და პასუხისმგებლობის აღება.

- როგორც ვიცით, ბანკში ივენთმენეჯერი იყავით. რამდენად დაგეხმარათ ეს საქმიანობა ბლოგერობაში?

- ივენთმენეჯერის პოზიცია გულისხმობს ამოცანების სწორად დასახვას, საქმეების სწორად განაწილებას და მთლიანი პროცესის მართვას. რა თქმა უნდა, ამ გამოცდილებამ

ბევრ შეცდომას ამარიდა კულინარიის სფეროშიც.

- რა არის ბლოგერის პროფესიის უპირატესობა სხვა პროფესიებთან შედარებით?

- ვერ ვიტყოდი, რომ ბლოგერობა უპირატესობით სარგებლობს, უბრალოდ, სხვა პასუხისმგებლობის მასშტაბია. სამსახურში შეიძლება 100-200 ადამიანზე იყო პასუხისმგებელი, სოციალურ სივრცეში კი საუბარი 100 000-ზე მეტ ადამიანზეა, რომელთა წინაშე ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

- გრძნობთ თუ არა პოპულარობას?

- დიახ, რაღაც დოზით, როდესაც ქუჩაში მაჩერებს უცნობი და გამოხატავს სიმპათიას ბლოგის და, ზოგადად, ჩემი საქმიანობის მიმართ. ყოველ ჯერზე ძალიან სასიამოვნოა გამომწერებთან შეხვედრა და აზრების გაცვლა.

- ტურიზმის დეპარტამენტის საგენტომ გამოსცა წიგნი „კულუნარიული მოგზაურობა აჭარაში“. მასში აღდგენილია მივიწყებული აჭარული კერძები. თქვენ მათი ვიდეორეცეპტები შექმენით. როგორი გამოხმაურება მოჰყვა ამ ჩანაფიქრს?

- დიახ, ჩემს ვიდეორეცეპტში კერძი მოცემულია ხელუხლებლად და დაცულია სიზუსტე. საოცრად მახარებს თითოეული კომენტარი ამ ვიდეოების ქვეშ. როდესაც ვკითხულობ, როგორ გადაისროლა ამა თუ იმ ძველებურმა აჭარულმა კერძმა ჩემი გამომწერი ღრმა ბავშვობაში და გაახსენა ბებიის ფუსფუსი სამზარეულოში, სოფელი და მასთან დაკავშირებული ამბები... გულში სითბო მეღვრება და ვრწმუნდები, რომ სწორ ადგილას ვარ, რასაც ვაკეთებ, ამით ადამიანებს დადებით ემოციებს ვუღვიძებ და ეს მნიშვნელოვანია.

- როგორც ვიცით, კულინარიული გადაცემა „სამზარეულოს ომებიდან“ გქონდათ შემოთავაზება და არ დათანხმდით. რატომ? ეს ხომ თქვენი პოპულარიზაციის და გამომწერების მომატების კიდევ ერთი საშუალება იყო.

- ვერ ვხედავ თავს შოუში. ვფიქრობ, მსგავსი შოუ არის იმ ადამიანებისთვის, მზარეულებისთვის, ვისაც სურთ, საკუთარი შემოქმედება ტელევიზიის აუდიტორიას გაუზიარონ. ეს მართლაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა იმისათვის, რომ მიიღონ სასურველი სამსახურის შემოთავაზება ამა თუ იმ კვების ობიექტიდან, ფუდბლოგერობა კი სულ სხვა რამაა. ფუდბლოგერი, ძირითადად, თვითნასწავლი ადამიანია, რომლის უმთავრესი მიზანია, აუდიტორიას სწორი, ნაცადი რეცეპტები გაუზიაროს. მისი მიზანი არ არის კონკრეტულ კვების ობიექტში მუშაობა, აქ სულ სხვა მასშტაბზეა საუბარი. წარმოიდგინეთ, რამდენი გამომწერიც ჰყავს ბლოგერს, იმდენ ოჯახში მზადდება მის მიერ შეთავაზებული კერძები. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ, ამავდროულად, უსაზღვროდ გაბედნიერებს. ფუდბლოგერი მხოლოდ კერძებს არ ამზადებს, ის, იმავდროულად, იღებს ვიდეოს, ამონტაჟებს, ახმოვანებს, მართავს სოციალურ ქსელს, აუდიტორიას და ეს არის ცოცხალი პროცესი.

- რატომ „იფ იფ ანა“? სახელწოდების იდეა საიდან გაჩნდა და, საერთოდ, რამდენად მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული სახელი?

- ყველაზე მარტივად სახელი შევარჩიეთ. როდესაც ფუდბლოგის შექმნის იდეა გაჩნდა, სახელზე ფიქრი დავიწყეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, სახელი მარტივი და დასამახსოვრებელი იყოს. კერძებთან ასოცირებული სიტყვები ჩამოვყარეთ და პირველი იყო შორისდებული „იფ“. დიახ, როდესაც კერძი მოგვწონს, ვამბობთ - „იფ, რა კარგია!“, აქედან გაჩნდა ბლოგის სახელი „იფ იფ ანა“.

- რა იყო ყველაზე მეტად პრობლემატური თქვენთვის ახალი პროფესიის დაუფლების დროს და ვინ დაგეხმარათ ამაში?

- დავიწყოთ იქიდან, რომ ბლოგის შექმნის იდეა მეუღლეს ეკუთვნის. ბლოგის განვითარება ოჯახის დამსახურებაა, რადგან მისი მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია, ბლოგი წარმატებული იყოს. ძალიან დიდი დრო იხარჯება, წარმოიდგინეთ, ხანდახან არ არის საკმარისი 24 საათი. ყველაზე რთული კამერასთან მუშაობის კომპლექსების დაძლევა იყო. მიჭირდა საკუთარი თავის მიღება კამერიდან, არ მომწონდა. ვნერვიულობდი „სთორების“ ჩაწერისას, ამიტომაც პირველი წელი ფილტრებს ვიყენებდი და რეალურ სახეს ვმალავდი. ბევრი ვიმუშავე საკუთარ თავზე, დავძლიე ეს კომპლექსი და მივიღე საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ვარ. ახლა აღარც ფილტრებს ვიყენებ და აღარც საუბარი მიჭირს, პირიქით - მაქსიმალურად ბუნებრივი ვარ.

- ამ ეტაპზე რამდენად სრულყოფილად და კომფორტულად გრძნობთ თავს?

- 33 წლის ასაკში ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა და თავი ვიპოვე. ვიპოვე საქმე, რომელიც სამსახური არ არის, რადგან გიყვარს, რასაც აკეთებ. ეს არის საქმიანობა, რომელიც გაბედნიერებს ყოველდღიურად, გაძლევს სტიმულს - აკეთო უკეთესად.

- რა სირთულეები გხვდებათ, უარყოფით კომენტარებს როგორ უმკლავდებით?

- უარყოფით კომენტარებს ვაწყდები, არ დაგიმალავთ - გულს მტკენს ძალიან, მაგრამ დადებითი კომენტარები 10-ჯერ მეტია და სწორედ ეს მაძლევს ძალას და მოტივაციას.

- ხშირად მოგზაურობთ?

- დიახ, ვმოგზაურობ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მოგზაურობა არის ახალი მუზების წყარო ჩემთვის.

- როგორც ვიცი, როცა საქართველოში მოგზაურობთ, სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი კერძების ვიდეორეცეპტებსაც იღებთ.

- დიახ, ასეა. ბოლოს სვანეთში ვიყავი და კუბდარის დამზადება გადავიღე. საოცარი შედეგი მოჰყვა - აურაცხელი პოზიტიური კომენტარი მივიღეთ, სადაც მადლობას გვიხდიდნენ, რადგან პირველწყაროდან გაიგეს კუბდარის ნამდვილი რეცეპტი. ვფიქრობ, სულ სხვა გემო აქვს ვიდეორეცეპტის კერძს, რომელიც იმ ადგილას მზადდება, სადაც მისი „სახლია“.

- უახლოესი მომავლისთვის რას გეგმავთ?

- პირველ რიგში, ვიმოგზაურებ იტალიაში, საიდანაც, ალბათ, მდიდარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდები, სექტემბრიდან კი ახალი ძალებით გავუზიარებ ჩემს გამომწერებს გემრიელი კერძების რეცეპტებს.